საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 12 06/02/2017

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის კობა ლურსმანაშვილის ბიუროსათვის საოფისედ დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ#61–ში მდებარე დაბა ხარაგაულის ყოფილი საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე განთავსებული 3 ოთახის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61 -ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-6 და მე-7 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს უსასყიდლო უზუფრუქტით, სარგებლობის უფლებით, გადასცეს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის კობა ლურსმანაშვილის ბიუროს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადით საოფისედ დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ#61–ში მდებარე დაბა ხარაგაულის ყოფილი საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის (ს/კ #36.01.33.048.01.500)მეორე სართულზე განთავსებული 3 ოთახი ფართით 74,38კვმ და მასზე დამაგრებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა ფართით 314კვმ.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 ნოემბრის #107 განკარგულება „**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელსათვის თანხმობის მიცემა საქართველოს პარლამენტის აპარატთან დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულები(დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა #15–ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის**

ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის საოფისედ გამოყოფილი 4 ოთახის შესახებ)გაუქმებისა და უზუფრუქტის ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად– ზემოთ აღნიშნული ბიუროსათვის დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ#61–ში მდებარე ყოფილი დაბა ხარაგაულის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე განთავსებული 3 ოთახის გადაცემის თაობაზე“

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე